

სექსუალური და
თვითღესტრუქციული
ქცევის კვლევა ლგბ ჯგუფში



Sexual and Self-destructive
Behavior Study among
LBT Group

ღნიშნული კვლევა ჩატარდა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ, პროექტის - „ლბტ ქალთა გაძლიერება საქართველოში: შემდეგი საფეხური -2010“ COC Nederland-ის ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში განუღი დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ნანა მამულაშვილს (ფსიქოლოგი, „სექსოლოგთა ლიგა“), მაია ჭავჭავანიძეს (სექსოლოგი „სექსოლოგთა ლიგა“) და ლელა კურდღელაშვილს (საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“).

ასევე, მადლობას ვუხდით ყველა იმ რესპოდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჩვენს კვლევაში.

2010 წელი, თბილისი

The present study has been conducted by Women's Initiatives Supporting Group (WISG), within the frames of project funded by Dutch LGBT organization COC Nederland: LBT WOMEN'S EMPOWERMENT IN GEORGIA: NEXT STEP -2010.

WISG deeply appreciates an outstanding contribution of Ms. Nana Mamulashvili (Psychologist „Sexologists' League“), Ms. Maia Tchavtchanidze (sexologist „Sexologists' League“) and Ms. Lela Kurdghelashvili (Center for Information and Counseling Tanadgoma) to the study.

WISG expresses the gratitude for all respondents who participated in the study.

2010, Tbilisi

სექსუალური და თვითდესტრუქციული ქცევის კვლევა ლბტ ჯგუფში

დამიანებისათვის, რომლებიც სოციალურად სტიგმატიზებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, საკუთარი თავის მიღება/აღიარება მიძიმე, მაგრამ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მათ უწევთ ხელახლა გაიაზრონ სოციალიზაციის პროცესში შეთვისებული კულტურული ფასეულობები და ნორმები.

ისევე, როგორც სხვა სტიგმატიზებული ჯგუფის წარმომადგენელთათვის, ლბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ადამიანებისათვის ქსენოფობიურ გარემოში ცხოვრება უამრავ სტრესთანაა დაკავშირებული. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, ნეგატიური წინასწარგანწყობა, ზიზღი, სიძულვილი, სიბრალული, რომელიც ხშირად დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასა თუ სხვა ვერბალურ და/ან ფიზიკურ აგრესიაში მულავენდება, ვაჟლენას ახდენს ამ ჯგუფის წარმომადგენელთა თვითშეფასებაზე. ჰეტეროსექსიზმით დამძიმებული საზოგადოება სხვადასხვა მექანიზმებს იყენებს იმისათვის, რომ დისკრიმინაციის გარდა, ჰომობისექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს თავს მოახვიოს მკაცრი გენდერული ნორმები და ჩაუნერგოს მათ სირცხვილისა და დანაშაულის გრძობა [Blumenfeld, 1992]. ცალკეულ შემთხვევებში საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო აღძრულმა ნეგატიურმა განცდამ, შესაძლოა, გენერალიზებული ხასიათი მიიღოს და სერიოზულად იმოქმედოს ადამიანის მსოფლმხედველობასა და თვითაღქმის პროცესზე. შედეგების გამოვლენის დიაბაზონი საკმაოდ ფართოა: საკუთარი არასრულფასოვნების განცდიდან, საკუთარი თავის მიმართ ღიად გამოხატულ სიძულვილსა და თვითდესტრუქციულ ქცევამდე. [Gonsiorec & Rudolph, 1991]

კონფლიქტი/დისჰარმონია უმცირესობის წარმომადგენელსა და დომინირებულ სოციალურ გარემოს შორის - „უმცირესობის სტრესი“ განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება გარდატეხის ასაკში, როდესაც ლბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) მოზარდებს უჭირთ გაერკვნენ საკუთარ გრძობებში და ხშირ შემთხვევაში არაფინა მათ გვერდით, ვისაც დახმარებისათვის მიმართავენ. სხვა უმცირესობათა ჯგუფის ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, ისინი მეტწილად ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრების ან ნათესავების მხარდაჭერითაც კი, რაც მნიშვნელოვნად ამძიმებს მათ მდგომარეობას. დამატებით, ამ ასაკში მიკუთვნებულობა თანატოლების ჯგუფისადმი მნიშვნელოვანია. თუმცა, ახალგაზრდა გეები და ლესბოსელები მეგობრებთან ქამინ-აუთის დროს, მინიმუმ, ერთ მეგობარს მაინც კარგავენ. [Ryan & Futterman, 1998] სტატისტიკის მიხედვით, ახალგაზრდა გეებში მათ ჰეტეროსექსუალ თანატოლებთან შედარებით, 7-ჯერ უფრო მაღალია სუიციდური მცდელობების რიცხვი (ლესბოსელების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უმნიშვნელო აღმოჩნდა). [Remafedi, 1994] ამ მოვლენის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მკვლევარები სწორედ ამგვარ ჰომოფობიურ გარემოში თვითგამორკვევასთან დაკავშირებულ სტრესსა და მხარდაჭერის არარსებობას ასახელებენ. მიუხედავად ამ სირთულეებისა, ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მათი უმეტესობა ეფექტურად უმკლავდება სირთულეებს და მთლიანობის დარღვევის გარეშე წარმატებულ ადამიანად ყალიბდება. [Edwards, 1996]

რაც შეეხება დეპრესიისადმი მიდრეკილებას, კვლევებმა ვერ გამოავლინა მნიშვნელოვანი სხვაობა სექსუალურად აქტიურ ჰომო, ჰეტერო და ბისექსუალებს შორის. კვლევამ აჩვენა, რომ დეპრესიის კლინიკური ხარისხი უკავშირდება არა იმდენად სექსუალურ ორიენტაციას, რამდენადაც სექსუალურ აქტივობას (გეების 46%, რომელიც ასექსუალური ცხოვრების წესს არჩევს ან სხვა მიზეზის გამო ნაკლებად აქტიურია სექსუალურად, დეპრესიით იტანჯება, მაშინ, როცა სექსუალურად აქტიურ გეებში ეს მაჩვენებელი 6%-ია. ჰეტეროსექსუალ მამაკაცებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 21.8% და 2.6%-ია) – ჰეტეროსექსუალ მამაკაცებზე ისევე მძიმედ მოქმედებს დაბალი სექსუალური აქტივობა, როგორც გეებზე, თუმცა, მთლიანობაში ეს მაჩვენებელი გეებში ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ჰეტეროსექსუალ მამაკაცებში. ქალების ჯგუფში (ჰომო/ბი/ჰეტეროსექსუალი ქალები) ეს სხვაობა უფრო მცირეა მამაკაცებთან შედარებით, თუმცა, ჰეტეროსექსუალ ქალებთან შედარებით, ლესბოსელებიც უფრო მიდრეკილი არიან დეპრესიისა და თვითდესტრუქციული ქცევისაკენ (მაგ. ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მოხმარების მაღალი მაჩვენებელი). [Bloomfield, 1993; Bux, 1996 and Valanis et al, 2000]. გარდა ამისა, საერთაშორისო კვლევებმა აჩვენა, რომ ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები ნაკლებად მიმართავენ ჯანდაცვის სერვისებს, ვიდრე ჰეტეროსექსუალი ქალები [Bunting, 1993; Robertson. 1992; Tripped, 1993], რაც უშუალოდ აისახება ლბ ქალების ჯანმრთელობაზე და ზრდის დაავადებათა რისკს. მკვლევართა აზრით, ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ამგვარ ქცევაზე, ინტერნალიზებული ჰომოფობიაა.

ამ კვლევებს მეცნიერთა ერთი ნაწილი კრიტიკულად უდგება. მეთოდოლოგიური შენიშვნების გარდა (მაგ. კვლევის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები, მათი მიკუთვნებულობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისადმი, სხვა სტრესული გამოცდილების არსებობა, რომელიც არ უკავშირდება ორიენტაციას, კულტურული და სოციალური გარემო და სხვ.), რომელიც არ იძლევა ამ მონაცემების სრულად განზოგადოების საშუალებას, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი სხვაობა არ შეიძლება აიხსნებოდეს მხოლოდ სოციალური პრესით (ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად აუცილებელია შედარებითი კულტურათაშორისი კვლევების ჩატარება, რომელიც აჩვენებდა, თუ როგორ იცვლება ნევროტიზმისა და სუიციდისადმი მიდრეკილება გეებს შორის სხვადასხვა ქვეყანასა და სოციალურ გარემოში ჰომოფობიის ხარისხის გათვალისწინებით). აუცილებელია საკითხის კიდევ უფრო ღრმად შესწავლა. „ამ რეზულტატების განზოგადების შესაძლებლობა შეზღუდულია, რადგან დღემდე ჩატარებული კვლევები, რომელიც სწავლობდა სტრესის გავლენას ახალგაზრდა გეებზე, ლესბოსელებსა და ბისექსუალებზე, შეზღუდული იყო კლინიკის პაციენტებით, თავშესაფრების ბინადრებით და იმ ორგანიზაციებით, ვინც მუშაობს სახლიდან გაქცეულ ახალგაზრდებთან. ჩვენ დაზუსტებით არ ვიცით, როგორ უმკლავდებიან სტრესებს ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ ჯგუფებს არ მიეკუთვნებიან. ბევრი ახალგაზრდა გეი და ლესბოსელი წარმატებით ართმევს თავს ამ პრობლემებს“. [DiPlacido, 1998]

ეს შეფასება ჩვენს კვლევაზეც ვრცელდება: წინამდებარე კვლევაში მონაწილე რესპოდენტების რაოდენობა (კვლევაში მონაწილეობა მიიღო ლბტ ჯგუფის 48 წარმომადგენელმა) და შერჩევის სპეციფიურობა (რესპოდენტთა უმეტესობა რამდენიმე წელია რეგულარულად სარგებლობს WISG–ის მიერ შეთავაზებული სერვისებით (იგულისხმება არა მხოლოდ ჯანმრთელობის სერვისები, არამედ ჯგუფის წევრთა ინფორმირებულობის ამაღლება გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე, სხვადასხვა სოციალური აქტივობები, რეგულარული სადიკუსო შეხვედრები ლბტ ჯგუფის წევრებისათვის და სხვ.) არ იძლევა იმის საშუალებას, რომ თამამად ვისაუბროთ იმ ტენდენციებზე, რომელიც აღნიშნულმა

კვლევამ გამოავლინა და მსგავსი კვლევების ჩატარების საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, გვეჩვენებინა განსხვავებული კულტურული და სოციალური გარემოს გავლენა ლბტ ჯგუფის თვითშეფასებასა და ქცევებზე. სამწუხაროდ, აღნიშნული კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა ლბტ ჯგუფის იმ წარმომადგენელთა ჩართვა, ვინც არ არის ორგანიზაციის სერვისების მომხმარებელი.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო გამოგვეკვლია სექსუალური ქცევის თავისებურებები ჩვენს სამიზნე ჯგუფში, ჯანმრთელობის სერვისებზე მოთხოვნა და ხელმისაწვდომობა ლბტ ჯგუფის წევრებისათვის, ქამინ-აუთის გამოცდილება და ფაქტორები, რომელიც მოქმედებს ქამინ-აუთის პროცესზე; თვითდესტრუქციული ქცევები და მისი შესაძლო კორელაციები ლბტ ჯგუფის წარმომადგენელთა თვითშეფასებასთან. კვლევის ძირითად ინსტრუმენტს სტრუქტურირებული კითხვარი წარმოადგენდა, თუმცა სტატისტიკური კვლევის შედეგების გადასამოწმებლად, ასევე გამოყენებული იქნა ლუშერის ტესტის, ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური კონსულტაციების შედეგები, რომელიც ამავე ჯგუფთან ჩატარდა წლის განმავლობაში. კვლევის იმ ნაწილში, რომელიც ლუშერის ტესტის მეშვეობით განხორციელდა, გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მონაცემები და სპეციალისტის სუბიექტური ინტერპრეტაციები.

კვლევის აღწერა

2010 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა კვლევა ლბტ ჯგუფის წარმომადგენლებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) ბენეფიციარებმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შემდეგი საკითხების შესწავლა:

1. სექსუალური ქცევის თავისებურებები ლბტ ჯგუფში. მათ შორის:
 - სექსუალური ცხოვრების დანყების ასაკი
 - პარტნიორები და სექსუალური ცხოვრების გამოცდილება
 - ჯგუფის დამოკიდებულება თავდაცვის საშუალებების მიმართ
 - უსაფრთხო სექსის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა და გამოყენება
2. ჯანმრთელობის სერვისებზე მოთხოვნა და ხელმისაწვდომობა
3. თვითდესტრუქციული ქცევები ლბტ ჯგუფში (ალკოჰოლის/თამბაქოს/ნარკოტიკის მოხმარება)
4. ქამინ-აუთის გამოცდილება და ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ქამინ-აუთზე
5. ჯგუფის წარმომადგენელთა თვითშეფასება და ჯგუფის შეფასება, იდენტიფიკაცია ჯგუფთან

მეთოდოლოგია

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა ღია და დახურული კითხვებისგან. გარდა სტრუქტურირებული კითხვარისა, კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტოლინის თვითდამოკიდებულების კითხვარი, რომელიც შეისწავლის: გლობალურ თვითდამოკიდებულებას, თვითპატივისცემას, ავტოსიმპათიას, საკუთარი თავის მიმართ ინტერესს და მოსალოდნელ დამოკიდებულებას სხვებისადგან.

მეთოდის შედეგებზე ორი ძირითადი ბლოკისგან:

I ანკეტა ზოგადი კითხვებით, რომელიც შედეგებზე 5 ბლოკისგან 1) სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები (10 კითხვა) 2) სექსუალური/გენდერული თვითიდენტიფიკაცია (10 კითხვა) 3) ქამინ-აუთი (6 კითხვა) 4) თვითდესტრუქციული ქცევები (4 კითხვა) 5) მოთხოვნა სხვადასხვა სერვისზე (5 კითხვა).

II პიროვნული კითხვარები. 1) პიროვნული დიფერენციალი (57 კითხვა)

შედეგების მოცულობა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) ბენეფიციართა ნაწილმა. სულ 48 რესპოდენტი.

შედეგების ინტერპრეტაცია

აღნიშნული კვლევის მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის საშუალებით. გამოყენებული იქნა აღწერითი და ახსნითი სტატისტიკის მეთოდები

1. სიხშირეები და პროცენტები
2. დისპერსიული ანალიზი
3. არანორმატიული კრიტერიუმები

ძირითადი დასკვნები

გამოკითხულთა უმეტესობას 1 ან 2 სექსუალური პარტნიორი ჰყავს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. უმეტესობას (დაახლოებით 69%-ს) უკანასკნელი წლის განმავლობაში შემთხვევითი პარტნიორი საერთოდ არ ჰყოლია. მათ, ვისაც ჰყოლია შემთხვევითი პარტნიორი, პარტნიორთა რაოდენობა ძირითადად 1 ან 2-ია. იშვიათ შემთხვევებში, დასახელდა 2-ზე მეტი შემთხვევითი პარტნიორი ბოლო წლის განმავლობაში. ბისექსუალების ჯგუფში, უფრო მეტს ჰყავდა შემთხვევითი პარტნიორი, როგორც ქალი, ასევე მამაკაცი, ვიდრე ლესბოსელთა ჯგუფში.

რესპოდენტების 17%-ს არ აქვს სექსუალური გამოცდილება. რესპოდენტთა უმრავლესობას სექსუალური გამოცდილება 17-25 წლის ასაკიდან აქვთ. ლესბოსელთა და ბისექსუალთა ჯგუფებში უფრო ადრე ქალ პარტნიორთან იწყებენ სექსუალურ ცხოვრებას, ვიდრე მამაკაცთან.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57.1%), არასდროს ხმარობს უსაფრთხო სექსის საშუალებებს ქალთან. გამოკითხულთა მეოთხედი, უსაფრთხო სექსის საშუალებებს მამაკაცთანაც არ ხმარობს. უფროსი ასაკის (25-44 წელი) გამოკითხულები უფრო ნაკლებად იყენებენ უსაფრთხო სექსის საშუალებებს, ვიდრე ახალგაზრდა ასაკის რესპოდენტები. ეს ჯგუფი თავს უფრო შემთხვევით სექსუალურ პარტნიორებთან იცავს. რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მუდმივ პარტნიორთან, (როგორც ქალთან, ისე მამაკაცთან) არასდროს იყენებს თავდაცვის საშუალებებს. რესპოდენტების უმრავლესობა არ თვლის საჭიროდ თავდაცვის საშუალებების გამოყენებას.

გასული ერთი წლის განმავლობაში, გამოკითხულთა უმეტესობას დასჭირდა გინეკოლოგის, ფსიქოლოგის, სექსოლოგისა და მამოლოგის მომსახურება. უმეტესი პასუხების მიხედვით, სპეციალისტის დახმარების მისაღებად რესპოდენტებს WISG-ის

მიერ შემოთავაზებული სერვისით უსარგებლიათ, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში მიუმართავთ კერძო პრაქტიკის სპეციალისტებისთვის და ნაცნობი სპეციალისტებისთვის. ფასიანი სერვისით, უფრო მეტად გინეკოლოგის მომსახურებით უსარგებლიათ, ვიდრე ფსიქოლოგისა და სექსოლოგის მომსახურებით. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ საშუალება მიიღონ აღნიშნული სერვისი, თუმცა, მხოლოდ მესამედს აქვს შესაძლებლობა ჩაიტაროს მკურნალობა გამოვლენილი პრობლემის გამო.

რესპოდენტთათვის თვითდესტრუქციული ქცევის ყველაზე გავრცელებული გამოვლენა თამბაქოს რეგულარული მოხმარებაა. გამოკითხულთა 50% მწვეველია. 27,1% დიდი ოდენობით მოიხმარს ალკოჰოლს. აღსანიშნავია, რომ 64,6% საერთოდ არ მოიხმარს ნარკოტიკს. გამოკითხულთა 12,5% აღნიშნავს, რომ სქესობრივი კონტაქტი თითქმის ყოველთვის ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ აქვს. 50% -ის პასუხების მიხედვით, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოქმედების ქვეშ, იშვიათად აქვს სქესობრივი კონტაქტი. მათ შორის, ვინც მოიხმარს ალკოჰოლს, ან ნარკოტიკს, 21,1%-ს სქესობრივი კონტაქტი ყოველთვის ალკოჰოლის, ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ აქვს. 15,8% აღნიშნავს, რომ ამგვარი შემთხვევები არცთუ იშვიათია, ხოლო 57,8% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლისა და ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ სქესობრივი კონტაქტი იშვიათად აქვს.

გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ მეგობრებმა იციან. ყველაზე ნაკლებია იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელთა ორიენტაციის შესახებ იცის მამამ, ბაბუა/ბებია, მეზობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა. უმეტესობას, 75%-ს პირველი ქამინ-აუთი მეგობრებთან ჰქონია. 45,2% აღნიშნავს, რომ იმ ადამიანებს, ვისთანაც ჰქონიათ ქამინ-აუთი ნორმალური რეაქცია ჰქონდათ. გამოკითხულთა პასუხების 11,9% მიხედვით, ურთიერთობა შეწყვიტა იმ ადამიანმა, ვინც გაიგო რესპოდენტის სექსუალური ორიენტაციის შესახებ. რესპოდენტთათვის ყველზე მნიშვნელოვანია, ოჯახის წევრები და მშობლები იყვნენ ინფორმირებულები მათი სექსუალური იდენტობის/ორიენტაციის შესახებ. რაც შეეხება მიზეზებს, რაც ხელს უშლით ქამინ-აუთში, მათ შემდეგი ფაქტორები დაასახელეს:

1. ნეგატიური განწყობა ქართული საზოგადოების მხრიდან, უარყოფისა და გაკიცხვის შიში;
2. არ უნდათ ოჯახის წევრების უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება და აღელვება;
3. 12.5 %-ს უარყოფის შიში აქვს, ამიტომ არ უნდა, რომ სხვამ იცოდეს მისი ორიენტაციის შესახებ.

გამოკითხულთა უმრავლესობას, ქამინ-აუთში უმეტესად საზოგადოების ნეგატიური განწყობა უშლით. რესპოდენტთა 23 % ათვლის, რომ უმიზეზოდ არ არის საჭირო ყველასთან საკუთარი იდენტობის აფიშირება. 23% თვლის, რომ ოჯახის წევრები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ამიტომ უფრთხილდებიან მათ. ასეთი წინასწარგანწყობა უკავშირდება საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებასთან ჯგუფის მიმართ, რაც გამოიხატება უარყოფის, სოციალური იზოლაციის, მარგინალიზაციის შიშში (72.2%).

რესპოდენტების შედეგების საშუალო მაჩვენებლებმა გამოავლინა, რომ ჯგუფში „მე“-ს ინტეგრალური განცდა ახლოს არის პოზიტიურ პოლუსთან, მაღალია მაჩვენებელი თვით-პატივისცემის შკალაზე, რაც მიუთითებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ შედარებით მეტი კონტოლი აქვს საკუთარ ცხოვრებაზე, არის დამოუკიდებელი, თვითთანმიმდევრული. საკუთარი შესაძლებლობების შეფასება საკმაოდ მაღალია. შე-

დარებით დაბალი მონაცემია ავტოსიმპათიის შკალაზე, რაც თვითშეფასების შედარებით დაბალ დონეზე მიუთითებს. გარშემომყოფთა მოსალოდნელი დამოკიდებულების მაჩვენებელი მცირედ გადახრილია პოზიტიური პოლუსისკენ, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპოდენტები გარშემომყოფებისგან მოელიან როგორც დადებით, ისე უარყოფით დამოკიდებულებას. საშუალოდან მცირედით პოზიტიურისკენ გადახრილი მაჩვენებელია საკუთარი თავის მიმართ ინტერესის შკალაზეც.

აღნიშნული ტენდენცია დასტურდება ლუშერის ტესტის მიხედვით ჩატარებული ტესტირების საფუძველზე მიღებული ინფორმაციით. გამოკითხულთაგან, დაბალი თვითშეფასება გამოიკვეთა მხოლოდ 14,6%-თან, რაც თავისთავად იმის მიმანიშნებელია, რომ ჯგუფში დაბალი თვითშეფასება არ წარმოადგენს წამყვან ტენდენციას. რაც შეეხება გარემოსთან ურთიერთობას, საზოგადოებრივი აზრის მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარე აღმოჩნდა გამოკითხულთა 25%, რომელიც „განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება სხვების რეაქციას საკუთარ ქცევაზე“. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (45,8%) ახერხებს ზომიერად დაარეგულიროს საზოგადოებასთან ურთიერთობა დისტანცირების ხარჯზე, რაც მიუთითებს საზოგადოებრივი აზრის მიმართ სწორ დამოკიდებულებას, და გარკვეულწილად, აღნიშნავს ძლიერი თავადციითი მექანიზმის არსებობას. ამგვარად, იზოლაციის მოთხოვნილება ამ ჯგუფში არ შეიძლება ჩაითვალოს წამყვან ტენდენციად, თუმცა, აღსანიშნავია, რომ 35,4% საკმაოდ მძაფრად განიცდის, რომ გარშემომყოფებს „არ ესმით მისი“.

განათლებასთან მიმართებაში, თვითდამოკიდებულების ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიკვეთა. ყველა მაჩვენებელი უფრო მაღალია იმ რესპოდენტებში, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, ან დამთავრებული მაგისტრატურა, ასპირანტურა (გამოკითხულთა 70,8%). ამ ჯგუფში თვითშეფასება არის უფრო მაღალი, ისევე, როგორც თვითპატივისცემა და საკუთარი თავის მიმართ ინტერესი. საიტერესოა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ჯგუფში მეტად პოზიტიური დამოკიდებულების მოლოდინია სხვებისგან.

პირად შემოსავალთან მიმართებაში, თვითდამოკიდებულების ფაქტორთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა თვითპატივისცემისა და ავტოსიმპათიის მონაცემებს შორის (18,3% და 19,5%), რაც თავის მხრივ, მიუთითებს თვითშეფასებისა და პირადი შემოსავლის ქონა-არქონის ფაქტორის ურთიერთზეგავლენაზე. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა 31,3%-ს არ აქვს პირადი შემოსავალი. ზოგადად, იმ ჯგუფს, რომელსაც აქვს პირადი შემოსავალი, ყველა ფაქტორში უფრო პოზიტიურისკენ გადახრილი ქულები აღნიშნება.


თვითშეფასების ასეთი მაჩვენებლები კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კონკრეტულ საკვლევე ჯგუფში „უმცირესობის სტრესი“ არ შეიძლება ჩაითვალოს თვითდერსტრუქციული ქცევის (სარისკო სექსუალური ქცევებისა და საერთო პოპულაციასთან შედარებით ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების მაღალი მაჩვენებლის) მთავარ განმამპრობებელ ფაქტორად.

კვლევის შედეგები

ბლოკი 1. დამოგრაფია


კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 48 რესპოდენტი. გამოკითხულთა საშუალო ასაკი 27.9 წელია, რესპოდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა 37.5 % მოხვდა 25-დან 29 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში.

დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით



გამოკითხულთა 91.6% აქვს სრული, არასრული უმაღლესი განათლება ან აკადემიური ხარისხი.

დიაგრამა 2. გამოკითხულ რესპოდენტთა განაწილება განათლების მიხედვით




ეროვნებით რესპოდენტთა უმრავლესობა (83.3%) ქართველია, თუმცა კვლევაში მონაწილეთა ნახევარზე მეტი ეთნიკურად შერეულია.

ცხრილი 1. რესპოდენტთა განაწილება ეროვნების მიხედვით


ეროვნება	რაოდენობა	%
ქართველი	40	83.3
რუსი	1	2.1
სომეხი	2	4.2
ებრაელი	1	2.1
ბერძენი	1	2.1
საკუთარ თავს არ ვაიგივებ არც ერთ ეთნიკურ ჯგუფთან	3	6.3
სულ	48	100.0

ღიბრამა 3. ხართ თუ არა ეთნიკურად შერეული?



გამოკითხულთა 10,4% სტუდენტია, 54,2% რაიმე ფორმით მაინცაა დასაქმებული, ხოლო მესამედზე მეტი - 35,4% უმუშევარია. უმუშევრობის დონე ჯგუფში 2,3-ჯერ აღემატება ქვეყანაში 15 წლის ასაკის ზემოთ ეკონომიკურად აქტიური ქალების დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებს, რაც საკვლევი ჯგუფის ასაკობრივი მაჩვენებლით უნდა იყოს განპირობებული.*

ღიბრამა 4. დასაქმება



*ქალებს შორის უმუშევრობა ყველაზე მაღალია 20-24 და 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (შესაბამისად 20,8% და 19,6%), მაშინ, როდესაც ქვეყანაში ქალებში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 15,4%-ია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2010


გამოკითხულთა 64.6%-ს აქვს პირადი შემოსავალი. რესპოდენტთა მეოთხედის საშუალო თვიური შემოსავალი 500-1000 ლარს შეადგენს (270\$-550\$), რაც ცოტა მეტია ქვეყანაში დასაქმებულ ქალთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასზე (425,8 ლარი). * მესამედზე ოდნავ ნაკლებს, 31.3%-ს საერთოდ არა აქვს შემოსავალი, ხოლო გამოკითხულთა 22,9%-ის შემოსავლები, საშუალოზე დაბალია.

ცხრილი 2. რესპოდენტთა შემოსავლები

საშუალო თვიური შემოსავალი	რაოდენობა	%
50-100	2	4.2
101-150	4	8.3
151-200	1	2.1
201-300	4	8.3
301-500	5	10.4
501-1000	12	25
1000 ლარზე მეტი	3	6.3
პასუხი არ არის	2	4.2
საერთოდ არ მაქვს პირადი შემოსავალი	15	31.3
სულ	48	100

რესპოდენტთა 62.5% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს ჯგუფის ასაკობრივი შემადგენლობით.

ღიაბრამა 5. ოჯახური მდგომარეობა



კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა თბილისის მკვიდრია.

* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2010.

ცხრილი 3. საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელი ადგილი	რაოდენობა	%
თბილისის მკვიდრი ვარ	42	87.5
დროებით ვცხოვრობ თბილისში	3	6.25
პერიოდულად ვსტუმრობ თბილისს	3	6.25
სულ	48	100

გამოკითხულთა დაახლოებით ორი მესამედი, 62,5%, ცხოვრობს მშობლებთან, ოჯახის წევრებთან, მეუღლესთან და შვილებთან ერთად. 12,5% მარტო ცხოვრობს, 18,8% – პარტნიორთან იყოფს ბინას, ხოლო – 6,3% შვილთან ერთად ცხოვრობს მეუღლის გარეშე. ეკონომიკურ დამოკიდებულებასთან ერთად, ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრება, გარკვეულწილად გავლენას ახდენს ქამინაუთის პროცენტულ მაჩვენებელზეც.

ცხრილი 4. საცხოვრებელი პირობები

საცხოვრებელი პირობები	რაოდენობა	%
ვცხოვრობ საკუთარ ბინაში მარტო	2	4.2
ვქირაობ ბინას მარტო	4	8.3
ვცხოვრობ საკუთარ ბინაში პარტნიორთან ერთად	5	10.4
ვქირაობ ბინას პარტნიორთან ერთად	2	4.2
ვცხოვრობ პარტნიორის ბინაში	2	4.2
ვცხოვრობ მშობლებთან/ოჯახის წევრებთან ერთად (მშობლები, და, ძმა, ნათესავი)	25	52.1
ვცხოვრობ ოჯახთან ერთად (მეუღლე, შვილი, შვილები)	5	10.4
ვცხოვრობ შვილთან (შვილებთან ერთად მეუღლის გარეშე)	3	6.3
სულ	48	100

ბლოკი 2. საქსუალური/განდარული თვითიდენტიფიკაცია

ცხრილი 5. რეასოციაციის განაწილება საქსუალური ორიენტაციის მიხედვით

საქსუალური ორიენტაცია	რაოდენობა	%
ლესბოსელი	18	37.5
ბისექსუალი	14	29.2
ჰეტეროსექსუალი *	3	6.3
ვარ განსხვავებული (queer)	6	12.5
არ ვარ ჩამოყალიბებული	7	14.6
სულ	48	100

*გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ WISG-ის ქალთა კლუბის წევრები, მათ შორის ისინიც, ვინც თავს ჰეტეროსექსუალად მოიაზრებს, მაგრამ თვლის, რომ ლბტ სოციალური გარემო მათთვის მნიშვნელოვანია.

გამოკითხვამ აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება ინტერვიუერთა სექსუალურ თვითიდენტიფიკაციასა და სექსუალურ უპირატესობას შორის, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ რესპოდენტთა ნაწილს არა აქვს ბოლომდე გავლილი სექსუალური თვითიდენტიფიკაციის ფაზები. ვივიენ კასი [Cass, 1999] ამ ეტაპს იდენტობის გაურკვევლობას/არეულობას და იდენტობის შედარების ეტაპს უწოდებს, როდესაც ადამიანი ან ჯერ ვერ იღებს საკუთარ ორიენტაციას ან ვარაუდობს, რომ ის, შესაძლოა, ჰომო/ბისექსუალი იყოს. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია სოციალური იზოლაცია. ადამიანი ეთანხმება ჰომოსექსუალური ქცევის ფორმას, მაგრამ ცდილობს შეინარჩუნოს ჰეტეროსექსუალური იდენტობა, იმიჯი. ამ ეტაპზე ხშირად „ამართლებენ“ ჰომოსექსუალურ ქცევას იმით, რომ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა, ექსპერიმენტია მათ ცხოვრებაში. ხაზს უსვამენ, რომ მათ უბრალოდ უყვართ ქალი/მამაკაცი და ეს ურთიერთობა არ გადადის სექსუალურ ურთიერთობებში, რაც, მათი აზრით, განსაზღვრულად მიიჩნევა საკუთარი თავის ჰომოსექსუალად აღიარებაში.*

ცხრილი 6. სექსუალური უპირატესობები

სექსუალური უპირატესობები	რაოდენობა	%
მხოლოდ ქალები	13	27.1
ძირითადად ქალები, მაგრამ ხანდახან მამაკაცებიც	14	29.2
თანაბრად მიზიდავს ქალიც და მამაკაციც	8	16.7
ძირითადად მამაკაცები, მაგრამ ხანდახან ქალებიც	13	27.1
სულ	48	100

* აღნიშნულ სურათს ადასტურებს სექსუოლოგთან ინტერვიუების შედეგებიც: ჯგუფის წევრების უმრავლესობას გავლილი აქვს სექსუალური იდენტიფიკაციის ფაზა და თავს ლესბოსელად ან ბისექსუალად აღიქვამს, თუმცა, ნაწილი არ არის გარკვეული მის სექსუალურ ორიენტაციაში.

საინტერესო ტენდენციებია ბისექსუალური იდენტიფიკაციის ქალებში. პირობითად შეგვიძლია რამდენიმე ქვეჯგუფი გამოვყოთ: ქალები, რომლებიც თავს უწოდებენ ბისექსუალს, რადგან, როგორც თვითონვე აღნიშნავენ, ჰომოსექსუალობას უარყოფით კონტექსტში განიხილავენ და არ უნდათ, რომ „ლესბოსელი“ ერქვათ. მამაკაცებთან სექსუალური ურთიერთობების მოტივაციადასახელებენ „თავის შემონახვას, ჰომოსექსუალი ხომ არ ვარ“, „ვიძიებულვ თავს, ვეებ მომეწონოს მამაკაცი“. თუმცა სამომავლოდ იდეალურ ვარიანტად ქალთან თანაცხოვრებას მიიჩნევენ. მეორე ქვეჯგუფში არიან ქალები, რომლებიც, ასევე, თავს არქმევენ ბისექსუალს, თუმცა, ცდილობენ სექსუალური ურთიერთობები უფრო რომანტიკულ ჭრილში გადაიყვანონ და ამით „ჰომოსექსუალურობა“ აიცილონ. მაინიშნებენ - „რა აზრი აქვს სქესს, მთავარია გიყვარდეს“ ან „მე სექსი კი არა, ადამიანი მიყვარს“ და ა.შ.

სექსუალურ კავშირებს მაინცდამაინც არ ეშვებენ და სამომავლოდ სასურველი სექსუალური თუ სოციალური როლის არჩევანის დასახელებაც უჭირთ. მესამე ქვეჯგუფი, რომელშიც ქალები ჰომოპრაქტიკას უფრო გართობად და წარმატებულ გაცხადებად აღიქვამენ და მაინცდამაინც ჰომოსექსუალურ გამოვლინებად არ თვლიან. აქვთ მამაკაცებთან ურთიერთობის „არა აღმაფრთოვანებელი“ პრაქტიკა, მაგრამ სამომავლოდ მამაკაცებთან ურთიერთობას გეგმავენ“

**ცხრილი 7. სექსუალური უპირატესობები
სექსუალურ ორიენტაციასთან მიმართებაში**

სექსუალური უპირატესობები	სექსუალური ორიენტაცია					
	ლესბოსელი	ბისექსუალი	ჰეტეროსექსუალი	უარ განსხვავებული (queer)	არ ვარ ჩამოყოფილებული	სულ
მხოლოდ ქალები	12	0	0	0	1	13
ძირითადად ქალები, მაგრამ ხანდახან მამაკაცებიც	6	5	0	2	1	14
თანაბრად მიზიდავს ქალიც და მამაკაციც	0	4	0	1	3	8
ძირითადად მამაკაცები, მაგრამ ხანდახან ქალებიც	0	5	3	3	2	13
სულ	18	14	3	6	7	48

ცხრილში #8, მოცემულია რესპოდენტთა სექსუალური პარტნიორების რაოდენობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ქალები და მამაკაცები). გამოკითხულთა უმეტესობას (42.6%) ჰყავდა 1 სექსუალური პარტნიორი (ქალი), რესპოდენტთა 59.6%-ს არ ჰყოლია მამაკაცი პარტნიორი ერთი წლის განმავლობაში.

**ცხრილი 8. სექსუალური პარტნიორების რაოდენობა
ბოლო ერთი წლის განმავლობაში**

პარტნიორთა რაოდენობა	ქალი (%)	მამაკაცი (%)
0	34.0	59.6
1	42.6	23.4
2	14.9	10.6
3	4.3	2.1
4	2.1	2.1
5	2.1	2.1
სულ	100	100

შემთხვევითი პარტნიორი რესპოდენტთა უმრავლესობას ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ჰყოლია (როგორც ქალი, ასევე მამაკაცი). მათ უმრავლესობას, ვისაც ჰყავდა პარტნიორი, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, აღნიშნავენ, რომ ერთი ქალი ან მამაკაცი პარტნიორი ჰყავდათ. (ქალი 19.1%, მამაკაცი 12.8%)

ცხრილი 9. შემთხვევითი პარტნიორების რაოდენობა ბოლო წლის განმავლობაში

შემთხვევითი პარტნიორების რაოდენობა ბოლო წლის განმავლობაში	ქალი (%)	მამაკაცი (%)
0	63.8	68.1
1	19.1	12.8
2	4.3	8.5
3	6.4	6.4
4		2.1
5	2.1	
6	2.1	
7		2.1
9	2.1	
სულ	100	100

ლესბოსელების ჯგუფში შემთხვევითი პარტნიორი ქალი ბოლო წლის განმავლობაში ჰყავდა გამოკითხულთა 33,4%-ს (6 რესპოდენტი), აქედან 27,8%-ს (5 რესპოდენტი) ერთი შემთხვევითი პარტნიორი ჰყავდა, ხოლო 5,6%-ს (1 რესპოდენტი) – სამი შემთხვევითი პარტნიორი ქალი. შეთხვევითი პარტნიორი მამაკაცი ლესბოსელების ჯგუფიდან მხოლოდ ერთ გამოკითხულს ჰყავდა. ბისექსუალების ჯგუფში უფრო მეტს ჰყავდა შემთხვევითი პარტნიორი, როგორც ქალი, ასევე მამაკაცი. საერთო ჯამში, ქალი შემთხვევითი პარტნიორი გამოკითხულთა 46,2%-ს ჰყავდა (14 რესპოდენტი), ხოლო მამაკაცი შემთხვევითი პარტნიორი 53,8%-ს. ლესბოსელების ჯგუფისგან განსხვავებით, ბისექსუალების შემთხვევითი პარტნიორების რაოდენობაც მეტია, ქალი შემთხვევითი პარტნიორების რაოდენობა მერყეობს 1-9-მდე, ხოლო მამაკაცი შემთხვევითი პარტნიორების რაოდენობა – 1-დან 4-მდე. უფრო გავრცელებული რიცხვი შემთხვევითი პარტნიორების რაოდენობაში, ამ ჯგუფში 1-2 შემთხვევითი პარტნიორი ქალი ან მამაკაცია. შემთხვევითი პარტნიორები ასევე ჰყოლია ჯგუფებს, – „არ ვარ ჩამოყალიბებული“ და „ვარ განსხვავებული“. ამ ჯგუფებშიც გამოკითხული რესპოდენტების ნახევარს ჰყოლია, როგორც ქალი, ასევე მამაკაცი შემთხვევითი პარტნიორი. ჯგუფში „არ ვარ ჩამოყალიბებული“, შემთხვევითი პარტნიორების უფრო მეტი რიცხვი დასახელდა წლის განმავლობაში. ამ ჯგუფში, არცერთი რესპოდენტი არ დასახელდა შემთხვევითი პარტნიორების მინიმალურ რიცხვს, მათი შემთხვევითი პარტნიორების რიცხვი მერყეობს 3-დან 7-მდე.*

რესპოდენტთა უმრავლესობას სექსუალური გამოცდილება როგორც ქალთან, ისე მამაკაცთან 17-25 წლის ასაკიდან აქვს.

* „არ ვარ ჩამოყალიბებული“ და „ვარ განსხვავებული“ ჯგუფები შერჩევაში მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი, ამიტომ რთულია სტატისტიკურად სანდო განსხვავებაზე საუბარი.

ცხრილი 10. დაახლოებით რა ასაკიდან გაქვთ სექსუალური გამოცდილება თითოეულ მათგანთან?

ასაკი	ქალთან (%)	მამაკაცთან (%)
11-16 წელი	18.8	8.3
17-25 წელი	39.6	52.1
25-30 წელი	20.8	18.8
30 წელი და ზემოთ	4.2	2.1
არ მაქვს სექსუალური გამოცდილება	16.7	18.8
სულ	100	100

სექსუალური გამოცდილება უმეტესობას 17–დან 25 წლამდე ასაკში აქვს. ლესბოსელთა და ბისექსუალთა ჯგუფებში, უფრო ადრე ქალ პარტნიორთან იწყებენ სექსუალურ ცხოვრებას, ვიდრე მამაკაცთან. ცხრილში მოცემულია სექსუალური გამოცდილების დაწყების ასაკი სხვადასხვა იდენტობის ჯგუფში.


ცხრილი 11. სექსუალური გამოცდილების დაწყების ასაკი სხვადასხვა იდენტობის ჯგუფში

სექსუალური გამოცდილების ასაკი	ლესბოსელი ქალთან	ლესბოსელი მამაკაცთან	ბისექსუალი ქალთან	ბისექსუალი მამაკაცთან	ვარ განსხვავებული ქალთან	ვარ განსხვავებული მამაკაცთან	არ ვარ ჩამოყალიბებული ქალთან	არ ვარ ჩამოყალიბებული მამაკაცთან	ჰეტეროსექსუალი ქალთან	ჰეტეროსექსუალი მამაკაცთან
11-16 წელი	22,2	5,6	21,4	21,4	16,7	100,0	14,3	42,9		100
17-25 წელი	61,1	33,3	42,9	50,0	16,7		14,3	42,9		
25-30 წელი	11,1	11,1	28,6	28,6	33,3		28,6	14,3		
30 წელი და ზემოთ			7,1				14,3			

რესპოდენტების 17%-ს არ აქვს სექსუალური გამოცდილება. ეს მონაცემი განპირობებულია იმით, რომ გამოკითხულთა ნახევარი 17-24 წლამდე ასაკისაა, რომელთა 30%-ს ჯერ არა აქვს სექსუალური გამოცდილება მამაკაცთან, ხოლო 18%-ს – არც ქალთან. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპოდენტთა (17-24 წელი) ჯგუფში, უფრო ადრეული ასაკიდან (11-16 წელი) იწყებენ სექსუალური გამოცდილების მიღებას, როგორც ქალთან, ისევე მამაკაცთან, ხოლო 24-44 წლამდე ჯგუფში, სექსუალური გამოცდილების მიღების გაერცელებული ასაკი 17-30 წელია.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57.1%), არასდროს ხმარობს უსაფრთხო სექსის საშუალებებს ქალთან. გამოკითხულთა მეოთხედი, უსაფრთხო სექსის საშუალებებს არც მამაკაცთან ხმარობს.

ღიბრამა 6. იყენებთ თუ არა თავდაცვის საშუალებებს?




უფროსი ასაკის გამოკითხულები უფრო ნაკლებად იყენებენ უსაფრთხო სექსის საშუალებებს, ვიდრე ახალგაზრდა ასაკის რესპოდენტები. ეს ჯგუფი თავს უფრო შემთხვევით სექსუალურ პარტნიორებთან იცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტთა პასუხების მიხედვით, თავდაცვის საშუალებების გამოყენება, მამაკაცებთან მეტად ხდება, ვიდრე ქალ პარტნიორთან.

ცხრილი 12. იყენებთ თუ არა თავდაცვის საშუალებებს ქალთან/მამაკაცთან?

იყენებთ თუ არა თავდაცვის საშუალებებს	ქალთან		მამაკაცთან	
	17-24 წლამდე ჯგუფი	25-44 წელი ჯგუფი	17-24 წლამდე ჯგუფი	25-44 წელი ჯგუფი
ყოველთვის	4,8	9,5	56,25	26,3
არასდროს	47,6	66,7	18,75	31,6
იშვიათად	47,6	19,0	25	10,5
მხოლოდ შემთხვევით პარტნიორთან		4,8		31,6


დიაგრამა 7. იყენებთ თუ არა თავდაცვის საშუალებებს ქალთან? რისკოფაქტორების ასაკთან მიმართებაში.

(მონაცემები მოცემულია სიხშირეების (რაოდენობების) სახით)



დიაგრამა 8. იყენებთ თუ არა თავდაცვის საშუალებებს მამაკაცთან? რისკოფაქტორების ასაკთან მიმართებაში.

(მონაცემები მოცემულია სიხშირეების (რაოდენობების) სახით)



რესპოდენტთა უმრავლესობა შემთხვევით პარტნიორ ქალთან არასდროს იყენებს თავდაცვის საშუალებებს (ლატექსის საფენი, თითის პრეზერვატივი).

ცხრილი 13. თავდაცვის საშუალებების გამოყენების სისხშირე შემთხვევით პარტნიორ ქალთან

რამდენად ხშირად იყენებდით უსაფრთხო სექსის შემდეგ საშუალებას შემთხვევით პარტნიორ ქალთან?	პრეპერვატივი	ლუბრიკანტი	ლატექსის საფენი	თითის პრეპერვატივი
არ მყავდა შემთხვევითი პარტნიორი ქალი გასული წლის განმავლობაში	54.2	54.2	54.2	54.2
პრაქტიკულად ყოველთვის	4.2	2.1	2.1	2.1
უმრავლეს შემთხვევაში		2.1		
დაახლოებით 50 % შემთხვევაში	2.1			2.1
იშვიათად, 50%-ზე ნაკლებ შემთხვევაში				2.1
არასდროს	31.3	39.6	41.7	37.5
არ მჭირდება ეს საშუალება	8.3	2.1	2.1	2.1
სულ	100	100	100	100

შემთხვევით პარტნიორ მამაკაცთან რესპოდენტთა უმრავლესობა იყენებს პრეპერვატივს.

ცხრილი 14. თავდაცვის საშუალებების გამოყენების სისხშირე შემთხვევით პარტნიორ მამაკაცთან

რამდენად ხშირად იყენებდით უსაფრთხო სექსის შემდეგ საშუალებას შემთხვევით პარტნიორ მამაკაცთან?	პრეპერვატივი	ლუბრიკანტი
არ მყავდა შემთხვევითი პარტნიორი მამაკაცი გასული წლის განმავლობაში	64.6	64.6
პრაქტიკულად ყოველთვის	16.7	4.2
უმრავლეს შემთხვევაში	2.1	
დაახლოებით 50 % შემთხვევაში	2.1	2.1
იშვიათად, 50%-ზე ნაკლებ შემთხვევაში	8.3	4.2
არასდროს	4.2	20.8
არ მჭირდება ეს საშუალება	2.1	4.2
სულ	100	100

მუდმივ პარტნიორთან, როგორც ქალთან, ისევე მამაკაცთან, რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არასდროს იყენებს თავდაცვის საშუალებებს.

ცხრილი 15. თავდაცვის საშუალებების გამოყენების სიხშირე მუდმივ პარტნიორ ქალთან


რამდენად ხშირად იყენებდით უსაფრთხო სექსის შემდეგ საშუალებას მუდმივ პარტნიორ ქალთან?	პრეზერვატივი	ლუბრიკანტი	ლატექსის საფენი	თითის პრეზერვატივი
არ მყავდა მუდმივი პარტნიორი ქალი გასული წლის განმელობაში	33.3	33.3	33.3	33.3
პრაქტიკულად ყოველთვის	4.2	2.1		2.1
უმრავლეს შემთხვევაში		2.1		
დაახლოებით 50 % შემთხვევაში	2.1			
იშვიათად, 50%-ზე ნაკლებ შემთხვევაში	4.2	2.1	4.2	8.3
არასდროს	47.9	58.3	60.4	56.3
არ მჭირდება ეს საშუალება	8.3	2.1	2.1	
სულ	100	100	100	100

ცხრილი 16. თავდაცვის საშუალებების გამოყენების სიხშირე მუდმივ პარტნიორ მამაკაცთან

რამდენად ხშირად იყენებდით უსაფრთხო სექსის შემდეგ საშუალებას მუდმივ პარტნიორ მამაკაცთან?	პრეპარატივი	ლუბრიკანტი
არ მყავდა მუდმივი პარტნიორი მამაკაცი გასული წლის განმელობაში	54.2	54.17
პრაქტიკულად ყოველთვის	14.6	4.2
უმრავლეს შემთხვევაში	8.3	2.1
დაახლოებით 50 % შემთხვევაში		2.1
იშვიათად, 50%-ზე ნაკლებ შემთხვევაში	4.2	2.1
არასდროს	18.8	31.3
არ მჭირდება ეს საშუალება		4.2
სულ	100	100

თავდაცვის საშუალებების გამოყენებლობის მიზეზად, რესპოდენტების უმრავლესობამ დაასახელა, რომ არ თვლის საჭიროდ გამოყენებას. სიხშირით შემდეგ ადგილზეა პასუხი – „არ მქონდა ხოლმე“ (განსაკუთრებით პრეზერვატივი).

ღიპგრამა 9. იმ შემთხვევაში, როცა არ იყენებდით უსაფრთხო სექსის საშუალებებს, რა იყო ამის მიზეზი?



სავარაუდოდ, ერთი მხრივ, ეს შეიძლება უკავშირდებოდეს მითს, რომ სექსუალური პრაქტიკა „ქალი-ქალთან“ უსაფრთხოა სვგი-ს გავრცელების თვალსაზრისით, და მეორე მხრივ, აიხსნება იმითაც, რომ უსაფრთხო სექსის საშუალებებს (ლატექსის საფენი, თითის კონდომი) უმეტესობა გამოყენების თვალსაზრისით „მოუხერხებლად“ თვლის.

ბლოკი 3. თვითდასტრუქციული ქცევები

გამოკითხულთა 10,4 %, საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს, 37,5% – იშვიათად მოიხმარს, 30% – კვირაში ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ მცირე ოდენობით, 16,6% – დიდი ოდენობით, 10,4% თითქმის ყოველდღიურად მოიხმარს ალკოჰოლს.*

ცხრილი 17. ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე

რამდენად ხშირად მოიხმართ ალკოჰოლს	რაოდენობა	%
საერთოდ არ მოიხმარ	5	10.4
ძალზე იშვიათად მხოლოდ მცირე რაოდენობით (თვეში ერთხელ ან ორჯერ)	18	37.5
დახლოებით კვირაში ერთხელ, ან ორჯერ მცირე რაოდენობით	12	30
კვირაში ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ დიდი ოდენობით	8	16,7
თითქმის ყოველდღე	5	10.4
სულ	48	100

* შედარებისათვის: 2005 წელს ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების მიხედვით, მიახლოებით იგივე ასაკობრივი კატეგორიის (15-44) თბილისში მცხოვრები ქალების 7,8% საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლს, იშვიათად - 44,6%, 27,4% – ამჟამად სვამს, 16% დროდადრო დიდი ოდენობით მოიხმარს, 4% კი ყოველდღიურად მოიხმარს ალკოჰოლს [Serbanescu, Imnadze et al, 2005].

საკმაოდ მაღალია თამბაქოს მწვევლთა პროცენტული მაჩვენებელი. გამოკითხულთა 62,5% მწვევლია (აქედან 12,5% იშვიათად ეწევა, 50% კი, – თამბაქოს რეგულარული მომხმარებელია). მათი პროცენტული მაჩვენებელი, ვისაც არასოდეს მოუწევია ან ეწეოდა და თავი დაანება 37,5%-ს შეადგენს (25% არასოდეს ეწეოდა, 12,5% ეწეოდა, მაგრამ ამჟამად აღარ ეწევა). აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 1,6-ჯერ აღემატება საერთო პოპულაციაში ქალებს შორის თამბაქოს მომხმარებელთა პროცენტულ მაჩვენებელს. *

ცხრილი 18. თამბაქოს მოხმარების სისხშირე

რამდენად ხშირად მოიხმართ თამბაქოს	რაოდენობა	%
არასოდეს ვეწეოდი	12	25
ვეწეოდი, მაგრამ თავი დავანებე	6	12.5
ხანდახან ვეწევი	6	12.5
რეგულარულად ვეწევი	24	50
სულ	48	100

გამოკითხულთა 72,9%-ს, ან საერთოდ არ მოუწევია მარიხუანა (64,6%) ან ეწეოდა და თავი დაანება (8,3%). 25% კი იშვიათად ეწევა. რაც შეეხება კლუბურ ნარკოტიკს, 93,75% არ მოიხმარს, 6,25% კი, იშვიათად მოიხმარს.


ცხრილი 19. ნარკოტიკის მოხმარების სისხშირე

რამდენად ხშირად მოიხმართ ნარკოტიკს?	მარიხუანა	სხვა კლუბური ნარკოტიკი
არასოდეს მოვიხმარდი	64.6	87.5
მოვიხმარდი, მაგრამ თავი დავანებე	8.3	6.25
ხანდახან მოვიხმარ	25.0	6.25
ვცდილობ თავი დავანებო	2.1	0
რეგულარულად მოვიხმარ	0	0
სულ	100	100

ამოკითხულთა 12,5%-მა აღნიშნა, რომ სქესობრივი კონტაქტი თითქმის ყოველთვის ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ აქვს. 50%-ის პასუხების მიხედვით, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იშვიათად აქვს სქესობრივი კონტაქტი.

* შედარებისათვის, 2005 წელს ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების მიხედვით, მიახლოებით იგივე ასაკობრივი კატეგორიის (15-44) თბილისში მცხოვრები ქალებიდან თამბაქოს მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი 38,9% (აქედან 23,7% იშვიათად ეწევა, 15,2% კი თამბაქოს რეგულარულად მოიხმარს). გამოკითხულთა 61,1%-ს საერთოდ არ მოუწევია ან აღარ ეწევა ბოლო პერიოდის განმავლობაში. [Serbanescu, Imnadze at all, 2005]

ღიგრაფა 10. გაქვით თუ არა სქესობრივი კონტაქტი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ?



ბლოკი 4. ჯანმრთელობის სერვისებზე მოთხოვნა

გამოკითხულთა უმრავლესობის პასუხის მიხედვით, გინეკოლოგისა და ფსიქოლოგის მომსახურება უფრო დასჭირვებით გასული წლის განმავლობაში, ვიდრე ვენეროლოგის მომსახურება.

ცხრილი 20. დაბჭირვებით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტების მომსახურება ბოლო 1 წლის განმავლობაში?

სპეციალისტი	რაოდენობა	%
ვენეროლოგი	10	20.8
ფსიქოლოგი	34	70.8
სექსოლოგი	30	62.5
გინეკოლოგი	42	87.5
მამოლოგი	31	64.6

გამოკითხულთა 0,4%–ს საერთოდ არ მიუძღრთავს ამ სფეროს სპეციალისტებისათვის წლის განმავლობაში. მათ შორის, ვისაც ერთხელ მაინც უსარგებლია ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალისტთა მომსახურებით, 83,6%–მა ისარგებლა უფასო კონსულტაციით (83% – WISG-ის მიწოდებული სერვისი, 0,06% - სხვა) და მხოლოდ 0,1%–მა მიმართა ფასიან მომსახურებას. ფასიანი სერვისით უფრო მეტად გინეკოლოგის მომსახურებით უსარგებლიათ, ვიდრე ფსიქოლოგისა და სექსოლოგის მომსახურებით.

ცხრილი 21. რა ფორმით მიგზავრთავთ ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტებისთვის გოლო 1 წლის განმავლოზაში?

სპეციალისტი	ვენეროლოგი	ფსიქოლოგი	სექსოლოგი	გინეკოლოგი	მამოლოგი	სულ
არ მიმიმართავს	39	8	10	15	15	87
ვისარგებლე WISG-ს მიერ შემოთავაზებული სერვისით	4	39	36	23	26	128
ვისარგებლე სპეციალური უფასო კონსულტაციით	2	1	1	2	2	8
მივმართე ნაცნობ სპეციალისტს და მივიღე უფასო კონსულტაცია				1	1	2
მივმართე კლინიკას ან კერძო პრაქტიკის მქონე სპეციალისტს და მივიღე ფასიანი მომსახურება	2			10	4	16
სულ	47	48	47	51	48	241

ცხრილი 22. რამელი ორგანიზაციის უფასო კონსულტაცია მიუღიანთ WISG-ს მიერ შემოთავაზებული სერვისის ბარდა.

დასახელება	რაოდენობა
თანადგომა	5
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	2
იმედი L	1
სკრინინგის პროგრამა	1
სულ	9

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ WISG-ის საშუალებით მათ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ უფასო კონსულტაცია და გაიარონ ტესტირება, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ მას აქვს საშუალება ისარგებლოს აღნიშნული სერვისით, თუმცა, მხოლოდ მესამედს აქვს შესაძლებლობა ჩაიტაროს მკურნალობა გამოვლენილი პრობლემის გამო. იხ. ცხრილი#23. ეს პირდაპირ კორელაციაშია კამოკითხული რესპოდენტების შემოსავლებსა და დასაქმების მაჩვენებელთან. იმ რესპოდენტთა უმეტესობა, რომელთა შემოსავლები საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, აღნიშნავენ, რომ მათ არა აქვთ შესაძლებლობა ჩაიტარონ მკურნალობა.*

* 2005 წელს ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების მიხედვით, მიახლოებით იგივე ასაკობრივი კატეგორიის (15-44) თბილისში მცხოვრები ქალების 45,3%მა სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის ხელისშემშლელ პირობად სწორედ მომსახურების ღირებულება დაასახელა. [Serbanescu, Imnadze et al, 2005]

ცხრილი 23. რამდენად ხელმისაწვდომია სპეციალისტების მომსახურება თქვენთვის?

ღასახელება	ტესტირება/კონსულტაცია		მკურნალობა	
	ხელმისაწვდომია	არ არის ხელმისაწვდომი	ხელმისაწვდომია	არ არის ხელმისაწვდომი
ვენეროლოგი	44.2	55.8	28.6	71.4
ფსიქოლოგი	44.2	55.8	25.6	74.4
სექსოლოგი	44.2	55.8	26.2	73.8
გინეკოლოგი	55.3	44.7	37	63
მამოლოგი	50.0	50.0	33.3	66.7


ცხრილი 24. გაქვთ თუ არა შესაძლებლობა ჩაიტარონ ტესტირება ან კონსულტაცია შემოსავლების გათვალისწინებით

სპეციალისტი	საშუალო თვიური შემოსავალი										
	ტესტირება / კონსულტაცია	50-100	101-150	151-200	201-300	301-500	501-1000	1000 ლარზე მეტი	უპასუხი არ არის	საერთოდ არ მკაცეს პირობები შემოსავალი	სულ
ვენეროლოგი	ხელმისაწვდომია	0	0	0	1	2	8	2	1	5	19
	არ არის ხელმისაწვდომი	2	4	1	3	3	0	1	1	9	24
